კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
**COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY**

KA080170507914513

თბილისი 0160, პეკინის გამზ. N28. ტელ: (+99532) 2 148 881 / 28, Pekini Ave., Tbilisi 0160. (+995 32) 2 148 881
www.procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

**# 317** **19 / თებერვალი / 2013 წ.**

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

6260
21 02 13
3

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა თქვენი ა/წლის 15 თებერვლის N5385 წერილით წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“ საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებაში, კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ სააგენტოს პოზიციას:

„საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციების“ IV პუნქტი – „საჯარო ფინანსებისა და ქონების გამჭვირვალე მართვა“ ითვალისწინებს რეკომენდაციებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გასაუმჯობესებლად, მათ შორის:

**1. „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ღიაობის მიზნით, სისტემაში არარეგისტრირებულ მომხმარებელს უნდა მიეცეს წვდომა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ შესყიდვის გეგმებსა და ანგარიშებზე“.**

დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების სახელმწიფო შეყიდვების გეგმები და ანგარიშები ხელმისაწვდომია მხოლოდ სისტემაში „შემსყიდველად“ და „მიმწოდებლად“ დარეგისტრირებული პირებისათვის. აღნიშნული გარემოება განპირობებულია მხოლოდ სისტემის უსაფრთხოების მიზნებით, რადგან სისტემის შესაბამის ელექტრონულ მოდულებში არაიდენტიფიცირებული მომხმარებლების დიდი რაოდენობის ერთდროულად შესვლამ შესაძლოა სერიოზული რისკის ქვეშ დააყენოს სისტემის გამართული ფუნქციონირება.

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად რეგისტრაცია ძალიან მარტივია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციას, პრაქტიკულად რამდენიმე წუთში შეუძლია აღნიშნულის განხორციელება და სისტემაში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომის მიღება.

**2. „უნდა შემცირდეს ელექტრონული შესყიდვების გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და თვითმმართველი ქალაქების სარეზერვო ფონდებიდან შესყიდვების განხორციელება უნდა მოხდეს გამარტივებული ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით“.**

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მხარს უჭერს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მოქმედი საგამონაკლისო ნორმების მაქსიმალურად შემცირებას, რომლებიც ზღუდავენ ამ კანონის გავრცელების სფეროს, მათ შორის იმ ნორმებისა, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით განსახორციელებელ შესყიდვებს აღნიშნული კანონის მოქმედების სფეროს მიღმა ტოვებს.

ამასთან, რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და თვითმმართველი ქალაქების სარეზერვო ფონდებიდან შესყიდვების განხორციელებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე საგამონაკლისო ნორმას არ შეიცავს და იგი სრული მოცულობით ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და თვითმმართველი ქალაქების სარეზერვო ფონდებიდან განსახორციელებელ შესყიდვებზე.

**3. „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაფუძნებულმა კომერციულმა და არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა გამარტივებული ელექტრონული შესყიდვა უნდა განახორციელონ შესყიდვების იმ ნაწილში, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობების და ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სახსრებიდან“.**

ზემოაღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვად ითვლება ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. მოცემული წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. ასეთი წესის არარსებობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბ) რაც შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების შესყიდვების იმ ნაწილზე, რომლებიც აღნიშნული სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციის მიერ ხორციელდება ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“–„ა.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახსრებით, რაც თავისთავად მოიცავს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობების და ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სახსრებს.

**4. „უნდა შემუშავდეს დეტალური კრიტერიუმები (ჩამონათვალი) გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისათვის“.**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ:

ა) კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „$ს^1$“ ქვეპუნქტით გამარტივებული შესყიდვის გამოყენება შესაძლებელია 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლებიც კანონით არის დადგენილი და ამომწურავია.

ამას გარდა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ ასევე მაქსიმალურად დაკონკრეტებულია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების წესი და პირობები.

ამასთან, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გამოხატავს სრულ მზადყოფნას განიხილოს გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ასევე კონკრეტული

წინადადებები, რაც ხელს შეუწყობს გამარტივებული შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამ საკითხში აქტიურად ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთან.

**5. „სახელმწიფო შესყიდვების ღიაობის მიზნით, ყველა ის ტენდერი, რომელიც შეეხება შესყიდვების შესახებ კანონის 1–ლი მუხლის, $3^1$ პუნქტის მე–4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და გულისხმობს საჯარო მომსახურების გაწევას, უნდა ქვეყნდებოდეს შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე ტენდერის გამოცხადებისთანავე“.**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის *(KFW)* და ევროპის საინვესტიციო ბანკის *(EIB)* მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე“.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ამჟამად აქტიურად მუშაობს ტექნიკურ ცვლილებებზე, რაც შესაძლებელს გახდის, რომ კანონის პირველი მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების დაფინანსებით განსახორციელებელი ტენდერები ჩატარდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს გახდის შესყიდვების პროცესს საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ სისტემის მეშვეობით მსგავსი ტენდერის პირველად გამოცხადება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მოხდება უახლოეს დღეებში.

**6. „განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში".**

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მზად არის აქტიურად ჩაერთოს ან თავად უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციისათვის.

თავმჯდომარე — ტატო ურჯუმელაშვილი